



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 62

„27“ ნოემბერი 2020 წ.

ქ. თელავი

**„თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ -
დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106¹ მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.
2. დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში თელავის „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2020 წლის 18 დეკემბრამდე.
4. „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად 2021 წლის 01 იანვრამდე.
5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე